ბიულეტენი

აჭარაზეობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№6 (12) ივნისი 2008 წელი

სამება. წმ. სვიმონ კანანელის ხსენების დღე

ბიბლიის ოთახი სოხუმის უნივერსიტეტში

დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

23 მაისს, წმ. სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სავედრებელი პარაკლისი აღავლინა საქართველოს მშვიდობის, მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის. ამავე დღეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა აკურთხა სოხუმის უნივერსიტეტი, სადაც ბიბლიის ოთახი გაიხსნა.

„ჭეშმარიტი ჰაპოვონ ჭეშმარიტმან ღმერთსა ჭეშ

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)

დღეს ყველანი ერთად შეგვკრიბა და გაგვაერთიანა მსოფლიოს უდიდესმა წმინდანმა, ქრისტეს 12 მოციქულთაგან ერთ-ერთმა, სვიმონ კანანელმა, რომელიც ბრძანდება ანდრია პირველწოდებულთან და მატათასთან ერთად განმანათლებელი ერისა ჩვენისა. I საუკუნეში ქრისტეს მოწაფეები მოედვნენ მთელ მსოფლიოს და ბედნიერი იყო ის მიწა, სადაც მათ ფეხი დაადგეს. აი, ამ რჩეულ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა საქართველო, სადაც გარდა ამ 3 მოციქულისა, კიდევ იმოგზაურეს მოციქულმა ბართლომემ და მოციქულმა თადეოზმა. ეს იყო ღვთის დიდი კურთხევა, ეს იყო ძალა ღვთისა, რომელიც მოანიჭა ღმერთმა ამ ერს იმისათვის, რომ თავისი უმძიმესი ისტორიის მანძილზე მას გაეძლო ყველა განსაცდელისათვის და დარჩენილიყო ერთგული ჭეშმარიტი სიკეთისა და სიყვარულისა, რომ ყოფილიყო ხატი და მსგავსი ღვთისა, როგორიც შექმნა ღმერთმა ადამიანი, და აღესრულებინა თავისი დანიშნულება დედამიწაზე – გადაერჩინა თავისი უკვდავი სული და ღირსი გამხდარიყო ღმერთთან მარადიული ნეტარი ცხოვრებისა. აი ამას ახორციელებდა და დღესაც ახორციელებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველო. ამაში უდიდესი დამსახურება არის მოციქულებისა. და განსკუთრებულია დღევანდელი დღე სრულიად საქართველოსათვის, რადგანაც მოციქული სვიმონ კანანელი აღესრულა მოწამებრივად აფხაზეთში და დაკრძალულია ახალ ათონში. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დიდი მეოხი, სვიმონ კანანელი განსაკუთრებულად არის მეოხი აფხაზეთისათვის და ჩვენი ამ დიდი ტკივილის, ამ ჭრილობის განკურნება დიდად არის დამოკიდებული მის მეოხებაზე, მის შუამდგომლობაზე. სახარებაში უფალი ბრძანებს: ითხოვდეთ და მოგეცეთ თქუენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდეთ და განგეღოთ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს და ყოველი, რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს და ყოველი, რომელი ირეკდეს, განეღოს მას და გწამდეთ, გვეუბნება უფალი, რომ თუ თქვენ, ადამიანებმა, იცით, თქვენი შვილებისათვის სიკეთის გაკეთება, რაოდენ მამაზეციერმა იცის სიკეთის გაკეთება, თუ თქვენ იქნებით ერთგული შვილები ზეციერი მამისა და მას სიყვარულით, მოკრძალებით მიმართავთ. და თუ ჩვენ დღეს ბევრი პრობლემა გვაქვს, ჩვენ ვიცით მიზეზი ამისა. ეს არის ის, რომ ჩვენი თხოვნა სუსტია, ჩვენი სული დასუსტებულია, დაუძლურებულია. ჩვენ გამოვიარეთ მძიმე საუკუნეები, განსაკუთრებით ბოლო 2 საუკუნე, როდესაც ქართველი ერი ნებსით თუ უნებლიედ, გარეშე ძალის ზეწოლით თუ თავისი უძლურებით დასცილდა ღმერთს და დღეს დადგა ჟამი ღმერთთან დაბრუნებისა და ნუ გავიხსენებთ იმას, რაც იყო წარსულში. ეს იყო ჟამი განსაცდელისა. გასაკვირი ის არის, რომ სარწმუნოება გადარჩა ქართველ ერში და ეს გადარჩენილი სარწმუნოება დღეს აღორძინების გზაზეა და ეს არის ნიშანი იმისა, რომ ყველა ჩვენი ჭრილობა განიკურნება, აფხაზეთი დაბრუნდება, საქართველო გამთლიანდება და გაბრწყინდება, და ამის წინაპირობა არის ის, რომ ჩვენ ღმერთმა გამოგვიგზავნა ბოლო ჟამის, XX და XXI საუკუნის მოციქულთა სწორი ჩვენი პატრიარქი, რომელიც აღასრულებს უდიდეს მისიას – მას, ვითარცა მოსეს ეგვიპტის მონობიდან – გამოჰყავს ქართველი ერი, აღთქმული ქვეყანისკენ მიუძღვება მას. ეს გზა მძიმეა, მტკივნეულია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ რწმენა და



არ უნდა ვიყოთ სულმოკლენი. გვწამდეს და რწმენა გაგვაძლიერებს. გავუძლოთ ამ ტანჯვას და ჩვენ ყველანი ძალიან მალე ღვთის მადლით, არა კაცის ძალით, ღვთის მადლით, თუ გავერთიანდებით ლოცვაში, თუ გავერთიანდებით ჭეშმარიტ სარწმუნოებაში და ჩვენი ცხოვრების წესი იქნება ქრისტიანული, მალე ღმერთი დაგვაბრუნებს აფხაზეთში და დაგვაბრუნებს ისე, რომ არ იქნება სიძულვილი, შუღლი, მტრობა და შურისძიება. იქნება სიყვარული. ეს შესაძლებელია, რადგან სახარებაში უფალი ბრძანებს: „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელია ღვთისა მიერ“. ვირწმუნოთ ღვთისა და გვახსოვდეს, რომ ჩვენმა წინაპრებმა, ვინც ირწმუნა და რწმენით აშენა საქართველო, დაგვიტოვეს საოცარი კულტურა, საოცარი სულიერი საუნჯე, მაგალითები გმირობისა. ჩვენ გვახსოვს გაბრწყინებული ივერია, ოქროს ხანის საქართველო. როგორ მიაღწია მან ამას? ხომ არ გგონიათ, რომ დღევანდელზე უფრო ადვილი იყო მაშინ. შეიძლება უფრო მძიმეც იყო მაშინდელი სამყარო და დაუცველი იყო საქართველო, მაგრამ შესძლო ღვთის ძალით. ჩვენი დიდი მამა ვახტანგ გორგასალი, მამა ქართველი ერისა, წმინდანად შერაცხული წმ. ვახტანგ გორგასალი, ასეთ ანდერძს გვიტოვებს: „ამას გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ სდგეთ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა, რათა მარადიული დიდება მოიგოთ“. აი, ვეძებთ ჩვენც ღვთის გზას, ღვთის მადლს, რომ აღდგეს ივერია, აღდგეს სრულიად საქართველო და ეს მოხდება. პატრიარქის წინამძღოლობით ეს პროცესი დაწყებულია და რაც უფრო მალე შევუდგებით ამ ჭეშმარიტ გზას, მით უფრო მალე ვიხილავთ საქართველოს გამთლიანებასა და გაბრწყინებას. დღეს სრულიად საქართველო ერთიანდება სვიმონ კანანელის წინაშე ვედრებაში, რომ იგი იყოს მეოხი ჩვენი წინაშე ყოვლადწმიდა სამებისა. ვევედროთ წმ. სვიმონ კანანელს, რომ მან მიართვას ჩვენი ვედრება ყოვლადწმიდა სამებას და რათა ყოვლადწმიდა სამებამ გარდამოგვივლი-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

„ჯეჯილჯელ ჯაჩოსეგან ჯესაჯილჯელს ღჟოლა ჭიკ“

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ნოს საღვთო მადლი სულისა წმიდისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ეხლა არის ჟამი აღდგომის შემდგომი 40-დღიანი ზეიმისა. თქვენ იცით, რომ აღდგომიდან 40 დღე უფალი თავის მოწაფეებს ხვდებოდა, მათთან ერთად იყო და მოწაფეები ხარობდნენ აღდგომილი უფლის ხილვით. ამავე დროს იგი ლოცავდა, აძლიერებდა მათ, მოძღვრავდა მათ და აი ასე განმტკიცებული დატოვა უფალმა ისინი და ამაღლდა ზეცად. მოწაფეები, წერია სახარებაში, გახარებულნი მობრუნდნენ იერუსალიმში. როგორ შეიძლება მიგატოვოს უფალმა, ზეცად ამაღლდეს და გიხაროდეს. უფალმა ასე მიმართა მათ: „აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე სოფლის აღსასრულამდე, ამინ!“ დიახ, უფალი ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა ჩვენთან არს, და ეს არის დიდი სიხარული. არაჩვეულებრივ ჭეშმარიტებას საოცრად გამოთქვამს ჩვენი პატრიარქის მიერ აღდგენილი ძველი ქრისტიანული მისალმების წესი: ჩვენთან არს ღმერთი! რომელსაც ჩვენ ვპასუხობთ: არს და იყოს! ჭეშმარიტად, ჩვენთან არს ღმერთი. ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო! ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი მუდამ არის ჩვენთან, მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენ ვიყოთ ღმერთთან. საჭიროა ორი ძალის გაერთიანება – ღვთაებრივისა და ადამიანურის, ვერც მარტო ღმერთი ჩვენი მოქმედების, თავდადებული მოღვაწეობის გარეშე და ვერც მარტო ადამიანი ღმერთის გარეშე მიზანს ვერ აღწევს. აი, ამ ორი ძალის შეერთებას ეწოდება სინერგია, და საქართველო გადარჩა აი ამ სინერგიით. იგი შეერთებული იყო უფალთან, ეს კავშირი იყო უწყვეტი და ამიტომაც სწორედ აქეთკენ მიდის დღეს ივერია. ეს მოხდება სულ მალე. ამიტომ ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ ღვთის სიყვარულით, ღვთის რწმენით, ერთმანეთის სიყვარულით. მივუტევოთ ერთმანეთს ქართველებმა და აფხაზებმა, ქართველებმა და ოსებმა და ყველამ უნდა მივუტევოთ ერთმანეთს, უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი და პირველი, ვინც მიუტევებს, ის იქნება დალოცვილი ღვთისაგან და გამარჯვებული უპირველეს ყოვლისა ღვთის წინაშე.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული დღე გვაქვს და ვიწყებთ დღევანდელ დღეს სოხუმის უნივერსიტეტის კურთხევით. ამ შენობების, ამ 2 კორპუსის კურთხევით და მასში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა დალოცვით. სოხუმის უნივერსიტეტი – ეს არის აფხაზეთის მოსახლეობის ავანგარდი, ეს არის ახალგაზრდა თაობა, ეს არის ინტელექტუალური ელიტა, რომელიც წინ უნდა გაუძღვეს მოსახლეობას, აჩვენოს მაგალითი დიდი რწმენისა, დიდი სიყვარულისა, დიდი თავდადებისა და სიბრძნისა. და აი სწორედ ამას ეუფლებით თქვენ აქ, და აი ნაკურთხ შენობაში თქვენი შემოქმედება და მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი იქნება. სვიმონ კანანელი იყოს თქვენი შემწე და მფარველი და აი აქედან, კურთხევის შემდეგ, ჩვენ ყველანი ერთად გავემგზავრებით ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში, სადაც მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს სავედრებელ პარაკლისს საქართველოს მშვიდობის, მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს. ამაღლებამდე, ძველი ტრადიციის მიხედვით, ქრისტიანები იხსენებდნენ რა მოციქულების ბედნიერებასა და სიხარულს, მოციქულების მსგავსად შეხვედრისას ერთმანეთს ულოცავდნენ და ახარებდნენ: ქრისტე აღდგა! და მეც მოგილოცავთ და გახარებთ: ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა! ღმერთმა დაგლოცოთ, გაკურთხოთ და ჩვენი პატრიარქის დღეგრძელობით, წინამძღოლობითა და ლოცვით ღმერთმა სულ მალე გადაგვახდევინოს სოხუმში და სრულიად აფხაზეთში დიდი ზეიმი!

სულიერი ნაჩსაყუდელი უნივერსიტეტში

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მჟავია:

– ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რა დონეზე იქნება ჩვენთან განათლება. შესაბამის დონეზე იქნება, რა თქმა უნდა, მეცნიერება და სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენი ურთიერთობა აფხაზეთის სამეცნიერო ინტელიგენციის, ხელოვნების წარმომადგენლებთან. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც სულ ახლახან მოიპოვა დამოუკიდებელი სტატუსი, უნდა გახდეს სწორედ ჩვენი საზოგადოების სახე და თავისთავად, თუ რამდენად ეკლესიური იქნება იგი თავის მოღვაწეობაში, თუ რამდენად ეკლესიურები იქნებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ სვიმონ კანანელის ხსენების დღეს გაიხსნა სამლოცველო უნივერსიტეტში. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ იქ ხალვათობა არასოდეს იქნება და ჩვენი ახალგაზრდები სწორედ ეკლესიური ცხოვრების პრინციპებით იცხოვრებენ. დიდი ხნის მანძილზე მიდიოდა სამზადისი იმისათვის, რომ გახსნილიყო სამლოცველო უნივერსიტეტში, მაგრამ რაც ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არის არა მხოლოდ სამლოცველო, არამედ ეს არის აბსოლუტურად კეთილმოწყობილი და ფუნქციურად აღჭურვილი ოთახი, სადაც ჭეშმარიტ მლოცველს შეეძლება სულიერად განმარტოვდეს. რაც შეეხება სვიმონ კანანელის დღეს, ჩვენი საზოგადოების შეხვედრას უწმიდესთან და უნეტარესთან, იგი ტრადიციულად ყოველწლიურად იმართება და ეს არის, ალბათ, ის სულიერი მუხტი, რასაც ჩვენი საზოგადოება იღებს და რაც ჩვენი საზოგადოებისათვის აუცილებელია. თუკი დევნილი საზოგადოება დღეს მეტნაკლებად გაწონასწორებულია ფსიქოლოგიურად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს განსაზღვრა ეკლესიასთან და ეკლესიურობასთან მისმა სიახლოვემ. კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ჩვენს საზოგადოებრიობას, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, თქვენი ბიულეტენის ერთგულ მკითხველს ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყველა ბრწყინვალე დღესასწაული.

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე:

– 2008 წლის 23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, სოხუმის უნივერსიტეტში მობრძანდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი. მეუფე დანიელმა სამღვდელოებასთან ერთად დალოცა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენი უნივერსიტეტისათვის, რადგანაც ეს არ იყო მხოლოდ უნივერსიტეტის დალოცვა, ეს იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აღვლენილი ლოცვაც. ილოცეს ქართველი და აფხაზი ხალხის ერთიანობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოვლენა სოხუმის უნივერსიტეტს წაადგება.

„მხოლოდ შენ მარადს, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად...“

დღეს განსაკუთრებული სიცხადითა და ძლევამოსილებით ესალბუნება ჩვენს გაუხეშებულ ცხოვრებას ირაკლი აბაშიძის ხელიხელსაგოგმანებელი ჰიმნი (დიახ, ჰიმნი და არა მხოლოდ ლექსი), რაც ქართული პოეზიის საგანძურში სამარადჟამოდ დამკვიდრდა, როგორც ნირშეუცვლელი საგალობელი დიადი ქართული ენისა!... თითქმის ნახევარი საუკუნე გვაშორებს ამ პოეტური შედევრების შექმნის დღიდან და დროის გადმოსახედიდან უფრო ნათლად შევიგრძენით ქართული ენის ფენომენთან წილნაყარი, უხილავი ძაფებით მოქსოვილი შეფარული სიბრძნე.

თითქოს სიმბოლურიც იყო დედაენის დღის აღნიშვნა 1 მაისს, არცთუ შორეულ წარსულში სისხლხორცეულად რომ უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირის ძლევამოსილების დემონსტრირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თარიღს. არც ის ყოფილა შემთხვევითი, საღამოს ინიციატორად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი, აფხაზეთის მთავრობასა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან არსებული აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი რომ მოგვევლინა, მისი უცვლელი ლიდერის, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად ნაცნობი მოღვაწის სვეტლანა ქეცბას ხელმძღვანელობით. ცენტრის მრავლისმომცველი მოღვაწეობა ცალკე საუბრის თემაა, ამჟამად ისევ საღამოს დავუბრუნდებით.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრის შეთხელებული, მაგრამ ერთსულ შედუღაბებული დარბაზი გაირინდა. საღამოს წამყვანმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გუჩა კვარაცხელიამ სცენაზე მოიწვია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი, რომელმაც დალოცა ქართული ენა და განმარტა, თუ რატომ ავლებენ პარალელს ლაზარესთან, – ლაზარესავით ქართული ენაც არაერთგზის განწირული იყო სიკვდილისათვის, მაგრამ რწმენის ურყევობა, შინაგანი სიძლიერე, თავდადება მუდამ იყო მათი გადამრჩენი. ქართული ენა სამარადჟამოდ იცოცხლებს, აღორძინდება და კვლავაც გაბრწყინდება. შეუძლებელია ენა, რომელიც სადიდებელს აღავლენს, რაიმე ძალამ გაანადგუროს. მიტროპოლიტმა ჭირთათმენისთვის მზადყოფნა, გამძლეობა და დღეგრძელობა უსურვა ყველა იმ ღვთისნიერ ადამიანს, ვინც ქართული ენის აღმასვლას ემსახურება.

ქართულ ენასთან, მის ყველა პერიპეტიასთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული თედო სახოკიას შვილიშვილი, პროფესორი შუქია აფრიდონიძე. მან გაიხსენა დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად მიჩნეული 14 აპრილი, რამაც შესძრა სრულიად საქართველო. „ქუდზე კაცი...“ ამ ფრთიანი ფრაზის რეალობაში ხორცშესასხმელად, ქართული სალიტერატურო ენის გადარჩენისათვის გააფთრებული თავგამოდების ფასად, მსოფლიო საზოგადოებრიობამ აშკარად იწვნია ქართველთა ერთსულოვნება. და არამარტო ქართველთა, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა შუქიამ ერთი სახიერი მაგალითიც მოიშველია, თუ როგორ უკიჟინებდა ქუჩაში მიმავალი ასირიელი ერთ-ერთი ბინის ფანჯრიდან მაცქერალ ქალს – მანდ რას დგახარ! ხომ ხედავ, ქართულ ენას გვართმევენ, შემოგვიერთდიო... მაგალითებს რა გამოლევს, მაგრამ სახელოვანმა პროფესორმა გულისტკივილით აღნიშნა არცთუ სახარბიელო, სადღეისო ვითარება ქართული ენის სიწმინდისა და მისი განვითარების სადარაჯოზე. „საფუძველი თუ შეერყევა ქართული ენის სწავლებას, მაშინ მის განვითარებაზე საუბარი წყლის ნაყვაა,“ – სრულიად სამართლიანად მიიჩნევს იგი. ბავშვობიდანვე, ოჯახსა და სკოლაში უნდა ეყრებოდეს საძირკველი მომავალს. მოზარდმა, უპირველეს ყოვლისა, დედაენა უნდა იცოდეს ზედმიწევნით, რაც შემდგომ სხვა ენების შესწავლას გაუადვილებს.

შუქია აფრიდონიძის მოსაზრება გააღრმავა და უტყუარი არგუმენტებით გაამყარა გუჩა კვარაცხელიამ. ვინ, თუ არა ქალბატონმა გუჩამ, იცის დედაენის, ქართული სიტყვის ფასი. წლების მანძილზე იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქუთაისის ლადო მესხიშვილისა და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ თეატრებთან, როდესაც ამ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელი იყო სახელგანთქმული რეჟისორი და დიდად პოპულარული მსახიობი გოგი ქავთარაძე. სცენა ხომ ქართული სიტყვის, სულიერების, ეროვნულობის უტყუარი ნიშანსვეტია!

(გაგრძელება მე-6 გვ.)

„მხოლოდ შენ მარადს, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად...“

(დასაწყისი მე-5 გვ.)

სწორედ ამიტომაც ქალბატონ გუჩას, როგორც მეცნიერისა და თეატრალური მოღვაწის, ანალიზი ფრიად ყურადსაღებია ჩვენთვის, განსაკუთრებით ამ კრიტიკულ პერიოდში. „ქართული ენა აღარ მდიდრდება, პირიქით, ღარიბდება, – გულისტკივილით აღნიშნა ეს სამწუხარო რეალობა – და ამაში ცალმხრივად ვინმეს დადანაშაულება, რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა. შექმნილ ვითარებას მოვლენათა ფართო სპექტრი განაპირობებს. მცდარია და საფუძველშივე უპერსპექტივო ჟურნალისტთა დიდი ნაწილის პრეტენზიები დემოკრატიული უფლებების დარღვევის გადმობრალების თაობაზე. როდესაც ჩვენ მათ სალიტერატურო ენის ნორმების უგულებელყოფაზე მივუთითებთ, ისინი სწორედ ამ არგუმენტს იშველიებენ. თუ ეს ასეა, მაშინ გაცილებით მრავალრიცხოვანი ფენა მოსახლეობისა, რომელიც მას უსმენს ან კითხულობს, საერთოდ უფლებაჩამორთმეულია“. ვფიქრობ, მთლინად გასაზიარებელია ქალბატონ გუჩას ეს კომენტარი. არანაკლებ აქტუალურია თანამედროვე მწერლობასთან დაკავშირებით გამოთქმული მისი შენიშვნები. სამწუხაროდ, სავალალო ტენდეცია დამკვიდრდა – მწერალთა უმეტესი ნაწილი წერს, რასაც ჟარგონი ჰქვია. ასე ლაპარაკობენ და ჩვენ სინამდვილეს ხომ არ დავამახინჯებთო, თავს იმართლებენ ამ ყაიდის მწერლები. მოაზროვნე ადამიანი თუ გადაწყვეტს, რომ შეწყვიტოს განვითარება, მაშინ ილაპარაკოს ქუჩური ენით. მიმაჩნია, რომ ქუჩა უნდა ლაპარაკობდეს სალიტერატურო ენით – ასკვნის გუჩა კვარაცხელია. ჩვენც მის პოზიციას ვემხრობით. ქვეყნის საყოველთაო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს სალიტერატურო ენის განვითარება-გამდიდრება. სალიტერატურო ენა ის საოცრებაა, რაც ღმერთმა გვიანდერძა. ამაში ღვთის ხელი რომ არ ერიოს, ერთი კაცი ვერაფერს გახდებოდა. ჩვენი ვალია ღვთიური ესტაფეტა ღირსეულად ვატაროთ.

ყველასათვის ცნობილი, მრავალჭირგამოვლილი სოხუმელი მწერლისა და პატრიოტის გურამ ოდიშარიას გამოსვლამ უნებლიედ გამახსენა ირაკლი აბაშიძის შედევრთა ციკლიდან ერთი ლექსი – „ხმა ჯვრის მონასტერში“, უფრო სწორად, ამ ლექსიდან ერთი მონაკვეთი:

„მარქვი, სად ვტეული,
სად ვარ მცდარი. სად ვარ
მართალი.
დღეს მარტვილი ვარ,
ეარიბი ვარ,
ვარ განდევილი,
მარქვი, მე ჩემი ვაზაფხული,
ჩემი ზამთარი...
ბანტოკრატორო,
შენს წინ ვდგავარ
მუხლმოდრეკილი.“

„ქართული ენა შველას ითხოვს. ჩვენი ანბანი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ანბანთა შორის. იგი უეჭველად გაბრწყინდება. ამის თავდები იქნება აფხაზეთში ორი სახელმწიფო ენის – ქართული და აფხაზური ენების თანაარსებობა,“ – იმედოვნებს მწერალი.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თეიმურაზ მჟავიამ სრული მხარდაჭერა გამოხატა ქართული ენის საჭირბოროტო პრობლემებისადმი გულგრილი დამოკიდებულების საპირისპიროდ. მისი ღრმა რწმენით, ენის სიწმინდის დაცვისა და აღორძინებისათვის უნდა გაძლიერდეს სახელწიფო ზედამხედველობა.

საღამოს სანახაობითი მხარე მხოლოდ შექებას იმსახურებს. ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, გემოვნებით, პროფესიული სიზუსტითა და ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით იყო შერჩეული პროგრამა. ეს ხელწერა კი სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლის ლია სეხნიაშვილის სავიზიტო ბარათია, რაც მის მიერ თუნდაც ამ კამერულ სცენაზე მრავალი საღამო-კონცერტის ორგანიზებისას გამოვლინდა, ვერავის დატოვებდა გულგრილს მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მომღერლების – აწ უკვე მარადისობაში გარდასული, განუმეორებელი ზურაბ ანჯაფარიძის, დღესაც მოქმედი, წარმოშობით სოხუმელი ტენორის ზურაბ სოტკილავასა და ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი მესაძირკვლის, თბილისის კონსერვატორიის აკადემიური სიმღერის კათედრის გამგის ნოდარ ანდღულაძის ჩანაწერების მოსმენა. ცოცხალი შესრულებით მსმენელი მოხიბლა ახალგაზრდა, ფრიად პერსპექტიულმა, 2007 წლის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა არმაზ დარაშვილმა, რომელმაც ჩინებულ მუსიკოსთან, კონცერტმაისტერ თემურ ელიავასთან ერთად შეასრულა უკვდავი „თავო ჩემო“ ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. და ბოლოს, დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო წარმოგედგინათ გალაკტიონის პოეზიის გარეშე?! მაყურებელი ერთხელ კიდევ მოინუსხა მურმან ჯინორიასეული ინტერპრეტაციით, რომელმაც გალაკტიონის რამდენიმე შედევრის შემდეგ, „ბისზე“ მუხრან მაჭავარიანის „სხვისი მისაბაძი რა მჭირს, – თვარა, – კი!..“ წაიკითხა ჩვეული შარმითა და არტისტიზმით.

წერილი ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას სიტყვებით მინდა დავასრულო: „ქართულ ენას დღეს უჭირს და ჩვენი ვალია მას დავეხმაროთ. შემდეგ კი... იგი თავად დაგვეხმარება!“

ვაჟა ძიგუა

სვეტიცხოველი, დედათა მონასტერი, ზედაზენი...

გრძელდება აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დევნილი მოზარდების მიერ ეკლესია-მონასტრების მოლოცვას და ისტორიული ძეგლების გაცნობას. 3 მაისს მოეწყო მოლოცვითი მოგზაურობა მცხეთის რაიონში. ღონისძიებაში მონაწილეობდა დაბა წყნეთში განსახლებული 40 დევნილი მოზარდი. ბავშვების ტრანსპორტირებისათვის ავტობუსი გამოყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (მინისტრი კობა სუბელიანი), ხოლო საგზალი მოუმზადა „მაკდონალდსმა“ (გენერალური დირექტორი თენგიზ კაპანაძე). ბავშვებს გზა დაულოცა დეკანოზმა გურამმა (გურამიშვილი).

მოილოცეს სვეტიცხოველი, მცხეთის დედათა მონასტერი, მამა გაბრიელის საფლავი, იოანე ზედაზნელის სახელობის მამათა მონასტერი.

ნინო ქირია:

– დაბა წყნეთში დილის 9 საათზე უკვე გამზადებულნი მოუთმენლად ველოდით ავტობუსების ამოსვლას, მათაც არ დაუგვიანიათ, ჩვენც დიდი ჟივილ-ხივილით ჩავსხედით და წამოვედით. თბილისში პირველი შეხვედრა „მაკდონალდსმა“ მოგვიწყო, გაგვიხარდა ულუფა, რომელიც დაგვირიგდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამა გურამმა ისრაელიდან ჩამოტანილი ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატები გვაჩუქა და გზა დაგვილოცა. ეს ჩვენთვის სიურპრიზი იყო, მადლობა მათ ამ ამაღლებული განწყობისა და სიამოვნების მონიჭებისათვის.

> აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი მადლობას უხდის თანადგომისათვის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – მაგონ ჯობა სუმელიანს, ქალბატონ თამარ მარტიაშვილს, მაგონ მესიჯ ჩიტრელიანს; „მაკდონალდსის“ გენერალურ დირექტორს მაგონ თენგიზ კაპანაძეს, ითის-მენეჯერ ეკა ამსანძეს, მე-3 რესტორნის სოლმძღვანელობასა და დიასახლისებს.

მოვილოცეთ სვეტიცხოვლის ტაძარი. მისმა სიდიადემ უდიდესი სულიერი სიამოვნება მოგვანიჭა. მოვილოცეთ წმ. მამა გაბრიელის საფლავი, წამოვიღეთ სასწაულთმოქმედი ზეთი. აქვე ვნახეთ წმ. ნინოს მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ძალზე საინტერესო ისტორია აქვს.

დოდო ლემონჯავა:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება მენახა და მომელოცა იოანე ზედაზნელის სახელობის მამათა მონასტერი, სადაც, ალბათ, ჩემი სურვილით ვერასოდეს მოვხვდებოდი. ტაძრის ეზოში რომ შევდგით ფეხი, მშვენიერი პეიზაჟი გადაიშალა ჩვენს წინ. მთის ამ მწვერვალიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი თავისი გარეუბნებით, საოცარი სიმშვიდე სუფევდა ტაძარსა და მის შემოგარენში. გავეცანით ტაძრის ისტორიას, გავიგეთ, რომ ამ ადგილას ყოფილა უწყლობა და შორიდან ეზიდებოდნენ წყალს.

აქეთობისას ჯვრის მონასტერშიც გვინდოდა ასვლა, მაგრამ შემოგვაღამდა, ვიმედოვნებთ, შემდეგში კიდევ მოეწყობა ასეთი ღონისძიებები. ეს დღე არასოდეს დაგვავიწყდება.

ნანა გეგეჭკორი:

– სვეტიცხოველზე წიგნებიდან ზოგი რამ ვიცოდი, მაგრამ ნანახმა გამაოცა. თვალი ვერ მოვწყვიტე მის სიდიადეს! სვეტიცხოველში სანთლები დავანთეთ, მამა ალექსიმ გვაკურთხა, შემდეგ ავედით დედათა მონასტერში, დედა იოვანამ მეგზურობა გაგვიწია, დაგვათვალიერებინა ტაძრის შემოგარენი, მოგვიყვა წმინდა ნინოს ბუჩქის შესახებ, რომელსაც სამკურნალო თვისებები გააჩნია. დედა იოვანამ გვაჩუქა წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს და ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ხატები, მოვილოცეთ ბერი გაბრიელის საფლავი, წამოვიღეთ სასწაულთმოქმედი ზეთი და საფლავის მიწა. ტაძრიდან ძალიან კმაყოფილნი და სულიერად ამაღლებულები გამოვედით.

მოლოცვითი მოგზაურობით ძალიან კმაყოფილები დავრჩით. საოცარი სულიერი სიმშვიდე დაგვეუფლა, რომელიც კარგა ხანს გაგვყვება. დიდი მადლობა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობას, მისი მე-3 რესტორნის დიასახლისებს, რომლებმაც ასეთი სიამოვნება მოგვანიჭეს. იმედია, მათი თანადგომით სხვა მრავალ ეკლესიასა და მონასტერსაც მოვილოცავთ.

ჩვენებური

ნაზირა კაკულია

ნაზირა კაკულია აფხაზეთის მკვიდრია. ახალგაზრდა სოხუმელ მეცნიერს საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს: დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის“ სპეციალობით. ასევე უცხო ენათა მეორადი ფაკულტეტი, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა

გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1998-2005 წლებში მიღებული აქვს მონაწილეობა გრანტის წესით დაფინანსებულ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში; 1997 წელს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსებით სტაჟირება გაიარა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1998 წელს სტაჟირებას გადის ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში (ავსტრია); 2000 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და „შორბანკის“ (ჩიკაგო) ერთობლივ პროგრამაში მიწვეული იყო საერთაშორისო ექსპერტად; 2006 წელს იყო ბურსის (თურქეთი) საერთაშორისო ფორუმის მონაწილე; 1997-2003 წლებში მიღებული აქვს მონაწილეობა რესპუბლიკურ კონფერენციებში, 2003-2008 წლებში სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში. არის 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 2006 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ნეკროეკონომიკური შედეგები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მაგალითზე).

1991 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში კითხულობს ლექციებს. 1993 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, ასევე კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „მაკროეკონომიკის მიმართულებაზე“, რომელსაც ხელმძღვანელობს თსუ სრული პროფესორი ნოდარ ხადური, არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ზოგადად „ნეკროეკონომიკა“ (რომლის ფუძემდებელი ქართველი მეცნიერი ვლადიმერ პაპავაა) და ნეკროეკონომიკური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში სრულიად ახალი თემაა. საქართველოში ამ პროცესების შესწავლას სულ რამდენიმე სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა. ნაზირა კაკულიას დისერტაცია ამ მიმართულებით კვლევების გაღრმავების პირველი მცდელობაა, რომელშიც ახალგაზრდა მეცნიერმა ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით შესძლო ნეკროეკონომიკის ბუნების ახსნა. მისი ხელმძღვანელია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტი, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი ვლადიმერ პაპავა.

ოფიციალური ოპონენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ნოდარ ხადური.

ექსპერტ-ოპონენტი, რომლის დადებითი შეფასების შედეგად წარმატებულად ჩატარდა ნაშრომის აპრობაცია და რომელმაც მწვანე შუქი აუნთო მას, იყო სამეცნიერო წრეებში ფართოდ აღიარებული მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოხუმის ფილიალის სრული პროფესორი გიორგი ბერულავა და პროფესორი რამინ მითაიშვილი.

დისერტაციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და თავისი აღფრთოვანება გამოხატეს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა: იური ანანიაშვილმა, არჩილ თეთრაულმა, კარლო ღურწკაიამ, ლეო ჩიქავამ, მურმან კვარაცხელიამ, ვახტანგ ბურდულმა, უშანგი სამადაშვილმა. მიღებული იყო გამოხმაურებები საქართველოს ეროვნული ბანკიდან, ეკონომიკის სამინისტროდან, აჭარის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს კონტროლის პალატიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

წარმატებულ ნაშრომს შეფასებებიც შესაბამისი ჰქონდა:

„... ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო დისერტაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ამ დარბაზში. მან გაცილებით ბევრი გააკეთა, ვიდრე ევალებოდა... ეს არის ურთულესი მოდელი, რომლის აგებაც ადვილი არ არის...“ (პროფესორი იური ანანიაშვილი);

„... ეს იყო ბრწყინვალე დისერტაცია და ბრწყინვალე გამოსვლა დისერტანტისა...“ (პროფესორი როლანდ სარჩიმელია);

„... მან წარმოადგინა ღირსეული დისერტაცია. ეს არის ახალი სიტყვა ეკონომიკურ მეცნიერებაში და დისერტანტი პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ შექმნილი „ნეკროეკონომიკური თეორიის“ ღირსეული შემსწავლელი, მისი საქმის მიმდევარი და მოწაფეა...“ (პროფესორი უშანგი სამადაშვილი).

სამეცნიერო საბჭომ ნაზირა კაკულიას ერთხმად მიანიჭა ეკონომიკის დოქტორის წოდება.

„პირველი პირობა ნობელის პრემიის მისაღებად – რა თქმა უნდა, კარგი მასწავლებლის ყოლაა აუცილებლად!“ – პოლ სამუელსონის ამ სიტყვებით გადაუხადა მან მადლობა თავის ხელმძღვანელს, ბატონ ვლადიმერ პაპავას, პიროვნებას, რომელმაც შექმნა მისგან მეცნიერ-მკვლევარი, რომელმაც მოვლენების ზუსტი დანახვისა და შეფასების უნარი, მტკიცე ხასიათი და საქმისადმი ერთგულების უდიდესი სურვილი ჩამოაყალიბა მასში, რომელმაც აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების პერიოდში წარმოუდგენელი მოქალაქეობრივი ზნეობით გამორჩეული ხელი გაუწოდა თავის ასპირანტს.

წარმატებისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ რთული და სიძნელეებით აღსავსე იყო, მაგრამ ნაზირა იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც სიძნელეები ძალასა და სიჯიუტეს ჰმატებს და მიზნისაკენ სწრაფვა უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება.

– იმ თაობას, რომელმაც ომი გამოიარა, მისი ყველა უარყოფითი გამოვლინება საკუთარ თავზე განიცადა, ბუნებრივია, სხვა ხედვა და მოვლენათა განსხვავებული შეფასება აქვს, – ამბობს ქალბატონი ნაზირა. – ჩემს მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა მუდამ წარსულითაა გამყარებული. იმ წარსულით, რომელშიც ორი განსხვავებული ცხოვრების წესია შერწყმული: ცხოვრება 1992 წლის 14 აგვისტომდე და ცხოვრება მის შემდეგ – 1993 წლის

(გაგრძელება მე-9 გვ.)

ნაზირა კაკულია

(დასაწყისი მე-8 გვ.)

27 სექტემბრის ჩათვლით. ამ ორი განსხვავებული ცხოვრების ანალიზმა დამანახა ის გზა, რომლითაც 27 სექტემბრის შემდეგ უნდა მევლო... ეს იყო გზა სიძლიერის, ხასიათის სიმტკიცისა და მომავლის იმედის შენარჩუნებისა, რომელიც აუცილებლად მოქმედებაში უნდა გამოვლენილიყო. აქ კი ცნობიერება სულის სიძლიერეს უნდა დაყრდნობოდა.

და მან ეს გზა იპოვა. იგი ჭეშმარიტი მეცნიერის სიჯიუტით მიუყვება არჩეულ ბილიკს.

– სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად ადამიანისათვის აუცილებელია „წარმატებულობის განცდა“, – მიაჩნია ნაზირას. – ეს ის განცდაა, რომელიც მომავლის იმედს აძლიერებს საკუთარი თავის სიძლიერის შეგრძნების ფონზე. იგი იმ ენერგიას და ძალას გაძლევს, რომელიც სჭირდება „სიკეთეს მოქმედებაში“, აკეთო იგი და ამით შეინარჩუნო ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ცხოვრებაში – კეთილი საწყისის დანახვისა და აღქმის სურვილი სხვა ადამიანში. მე ამას ჩემს სტუდენტებშიც ვნერგავ...

ამჟამად ნაზირა კაკულია მუშაობს მონოგრაფიაზე, აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში და აქვს შეთავაზებები კვლევითი სამუშაოები ჩაატაროს საბერძნეთის უნივერსიტეტსა (ონასისის ფონდი) და აშშ-ში, თუმცა, ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია.

კათედრის მიღმა ნაზირა უღალატო მეგობარია, რომელიც შეუმჩნევლად შემოგაშველებს მხარს, უჩუმრად თესავს სიკეთეს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, ძალიან უყვარს თავისი სტუდენტები, დახვეწილი გემოვნების მქონე მშვენივრად უკრავს ფორტეპიანოზე, კარგად ერკვევა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, გამოირჩევა იუმორის გრძნობით, ძალიან უნდა საფრანგეთში ლევილის სასაფლაოზე წინაპართა საფლავების მონახულება და მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან, რომ ყველა მისი ქმედების უკან ერთი იმედი და ერთი სანუკვარი ოცნება იმალება, რომელიც, უეჭველია, ასრულდება:

– თუ მე დღეს აფხაზური სიმღერა, სანაპიროზე გაზრდილი ოსმანტუსი და ჩემი ქალაქის ღიმილი მენატრება ყველაზე ძალიან, მჯერა, ჩემს ქალაქსაც ასეთივე სიძლიერით ვენატრები. სწორედ ეს რწმენა მაძლიერებს და მაძლევს იმედს, რომ უფრო ამაყი დავბრუნდე აფხაზეთში...

საეკლესიო კალენდარი

1 ივლისი (სამშ.)	– ღირ. მიქაელ ულუმბოელის ხსენება (VI ს.)
2 ივლისი (ოთხშ.)	– უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება (დაახ.80 წ.)
4 ივლისი (პარ.)	– წმ. დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილისა (744 წ.) და ლუარსაბისა (1622 წ.)
7 ივლისი (ორშ.)	– შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი
10 ივლისი (ხუთშ.)	– ხსენება: ა) ღირ. გიორგი მთაწმინდელისა (1065 წ.) ბ) მოწ. კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1918 წ.)
12 ივლისი (შაბ.)	– ხსენება დიდებულთა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი (67 წ.)
13 ივლისი (კვ.)	– დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტ მოციქულთა კრება (სვეტიცხოვლობა)
16 ივლისი (ოთხშ.)	– ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფელ გერგეტში (ყაზბეგი)
17 ივლისი (ხუთშ.)	– ხსენება წმ. ანდრიასი, კრეტელი მთავარეპისკოპოსისა, „დიდი კანონის“ შემქმნელისა (712-726 წწ.)
18 ივლისი (პარ.)	– ხსენება ღირ. ათანასე ათონელისა (1000 წ.)
25 ივლისი (პარ.)	– ხსენება ღირ. მამათა ჩვენთა ათონელთა – იოანესი და გაბრიელისა (X ს.)
26 ივლისი (შაბ.)	– კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა
27 ივლისი (კვ.)	– ექვსი მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება
28 ივლისი (ორშ.)	– ხსენება მოწ. კვირიკესი და ივლიტასი (დაახ. 305 წ.)
30 ივლისი (ოთხშ.)	– ხსენება დიდმოწამე მარინესი (IV ს.)

ჩვენი მოძღვარი

აშაღლება

– „საქმე მოციქულთაში“ (საქ. I, 1-4) ვკითხულობთ, რომ მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი „ორმეოცთა დღეთა ეჩვენებოდა მათ (მოციქულებს) და ეტყოდა სასუფევლისათვის ღმრთისა“. რატომ არის ასეთი ხაზგასმა რიცხვ 40-ზე?

რიცხვი 40 არცთუ იშვიათად ფიგურირებს წმიდა წერილში: 40 წელი მოჰყავდა უდაბნოში მოსეს ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები აღთქმული ქვეყნისაკენ; თვით მოსე სინას მთაზე 40 დღე მარხულობდა; შემდგომად ნათლისღებისა მაცხოვარი 40 დღე უდაბნოში იყო გასული და ეშმაკისაგან გამოიცდებოდა; უფალმა სათნო იჩინა და შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა 40 დღის განმავლობაში მოციქულებს (და არა მარტო მათ) ეცხადებოდა და განსწავლიდა, ამზადებდა მათ ამაღლების სახილველად და სულიწმიდის მისაღებად, რათა ადამიანის უძლურ ბუნებას შეემეცნა ეს უდიდესი საიდუმლო, საიდუმლო ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებისა.

ამდენად ვფიქრობთ, რომ რიცხვი 40 ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდს გულისხმობს, რაც ადამიანის ღმერთთან მიახლებას სჭირდება.

– რა დღესასწაულია ამაღლება?

ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღესასწაულია. იგი ათთორმეტთაგან მოძრავ დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება, ხოლო მისი აღნიშვნის თარიღს აღდგომის მოძრავი დღესასწაული განსაზღვრავს, და იგი აღდგომიდან მეორმოცე დღეს, (აღდგომიდან) მეექვსე კვირის ხუთშაბათს მოიწევა. ამ დღესასწაულის დაწესება წმიდა წერილში

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ამაღლება

აღწერილმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ – მაცხოვრის ხორცით ზეცად ამაღლებამ განაპირობა (მკ. XVI, 16-20; ლკ. XXIV, 50-53; საქმ. მოც. I, 4-12).

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე დედამიწაზე თავისი მყოფობის ბოლო დღეს ერთად შეკრებილ მოციქულებს გამოეცხადა და უბრძანა, არ განშორებოდნენ იერუსალიმს და მოლოდინი ჰქონოდათ მათდამი აღთქმული „სხვა ნუგეშინისმცემლის“ მოვლინებისა. მან მოციქულები იერუსალიმიდან ბეთანიამდე მიიყვანა, ზეთისხილის (ელეონის) მთასთან და გზად მიმავალი, თავისი (ე.ი. ქრისტეს) ეკლესიის მოწყობაზე ესაუბრებოდა. ზეთისხილის მთის მწვერვალზე უფალმა აკურთხა მოციქულები და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა.

– მაცხოვარი მოციქულებს აღუთქვამს „სხვა ნუგეშინისმცემლის“ მოვლინებას, რაზეა აქ საუბარი?

აქ საუბარია სულიწმიდაზე, რომელიც განაბრძნობს და განსწავლის ადამიანებს იმის შესახებ, რაც უფალმა მათი ხსნისათვის განაჩინა.

აღნიშნული ცხადად არის წარმოჩენილი ჰიმნოგრაფიაშიც. ასე მაგალითად:

– ... „ნუ დაგვიტეობ აწ ობლად... არამედ ვითარცა იგი აღმითქუ, მომივლინენ ჩვენ ყოვლადწმიდა სული სახიერი თანამფლობელი შენი, განმანათლებლად სულთა ჩვენთა“;

– „უფალი ამაღლდა ზეცად, რათა მოგვივლინოს ნუგეშინისმცემელი, ცათა განჰმზადეს საყდარი და ღრუბელმან აღსავალი. ანგელოსთა დაუკვირდა კაცთა რა ჰხედვიდეს უზესთაეს ქერუბიმთა, რომელი იგი მამასა მიჰგვარა აწ ძმან ღვთისამან და, აზიარა დიდებას თვისსა“ (იხ. ამაღლების განგების მწუხრის ჟამნი, „ღაღად-ვჰყავსა ზედა“ მე-4 და პირველი დასდებლები) და სხვა.

– რაში მდგომარეობს ამ დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა?

ამაღლება, ისე როგორც ჯვარზე ვნება და მკვდრეთით აღდგომა, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების უცილობელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და უშუალო კავშირი აქვს პასექის დღესასწაულთან.

ასე განვსაჯოთ: იუდეველები სჯულიერ პასექს (ძველი აღთქმის პასექს) დღესასწაულობდნენ – ეგვიპტის მიწიდან პალესტინაში (აღთქმულ ქვეყანაში) გადასვლას. ჩვენც ვდღესასწაულობთ პასექს, ოღონდ სახარებისეულ პასექს – ქრისტეს ჰიპოსტასში ჩვენი ადამიანური ბუნების სიკვდილიდან სიცოცხლეში, ხრწნილებიდან უხრწნელებაში გადასვლას (იხ. **Беседы (омилии) святителя Григория Паламы, ч. I,** 1993, გვ. 215).

დრო მაცხოვრის დამდაბლებისა – კაცობრივი სახით მოვლინებისა დამთავრდა ჯვარზე ვნებითა და დაფლვით. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა მიეცა რა... „ყოველი ხელმწიფებაი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (მთ. XXVIII. 18), დადგა დრო მისი განდიდებისა, მაგრამ უხეში და ცოდვიანი მიწა აშკარად არ არის უფლის საბრძანებელი, რადგან მიწა საყოფელია მათთვის, ვინც მიწისსაგანია, ხოლო უფალი, გარდამოხდა რა ზეცით (ინ. III, 13), მიწისსაგანი არ არის.

შემდგომად აღდგომისა, მისი სხეული შეიცვალა და სხვა თვისებების მატარებელი გახდა: იგი უხილავიც იყო და ხილულიც, ხორცი ესხა და დახშულ კარში გადიოდა, საკვებს იღებდა და არ ექვემდებარებოდა ცვლილებებს. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა მაცხოვარი 40 დღე იმყოფებოდა დედამიწაზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მაშინ იყო ხილული, როცა თავს გამოუცხადებდა მოციქულებს.

ამდენად, უკვდავი, განდიდებული, განღმრთობილი უფლის სხეულის საყოფელი ზეცა გახლავთ, ვიდრე მიწა და ამიტომაც ამაღლდა იგი ზეცად. ჯვარზე ვნებით უფალმა ყველა, ვისაც მისი მოლოდინი ჰქონდა, ჯვრის სიმაღლემდე აღამაღლა, რათა ახლა ყველა, ვინც გოლგოთის მსხვერპლის თანაზიარია – ზეცად აღამაღლოს.

– როგორც ცნობილია, მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს ჰქონდა უხრწნელი სხეული, მისთვის არ არსებობდა ფიზიკური დაბრკოლება, დახშულ კარში შედიოდა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საყოველთაო აღდგომის შემდეგ ჩვენც ასეთივე ხორცს შევიმოსავთ?

საღმრთო წერილიდან ვიცით, რომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ადამიანთა სხეულები არსობრივად ისეთივე იქნებიან, როგორიც ეკუთვნოდათ მათ სულებს ამქვეყნად ცხოვრების დროს, მაგრამ მოხდება მათი ფერისცვალებაც.

ყველაზე უწინ მართალთა სხეულები შეიქნებიან უხრწნელნი და უკვდავნი. მათ საერთოდ ვერ მიეკარება ამჟამინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უძლურებანი და სისუსტენი და იქნებიან სულიერნი, ზეციურნი და მიწიერი სხეულის მოთხოვნილებებს მოკლებულნი. უფლის სიტყვისაებრ, აღდგომის შემდგომი ცხოვრება მიემსგავსება უსხეულო სულთა – ანგელოზთა ცხოვრებას (ლკ. 20,3). რაც შეეხება ცოდვილებს, მათი სხეულებიც უეჭველად აღდგებიან ახალი სახით და მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს, მაგრამ ამასთანავე მათზე აისახება ცოდვილის ფშვინვიერი მდგომარეობაც.

– როდესაც ამაღლებული მაცხოვარი თვალს მიეფარა, ორი ანგელოზი მოციქულებს ეუბნება, რომ... „იესო რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქ. I, 11). რას ნიშნავს ანგელოზთა ეს სიტყვები?

ეს ნიშნავს იმას, რომ მოვა დრო და დადგება ქვეყნის დასასრული, იქნება მეორედ მოსვლა და უფალი მოვა დიდებით, რათა განსაჯოს ყოველი ადამიანი. ეს გახლავთ პირდაპირი მინიშნება მეორედ მოსვლაზე.

– რა დროიდან ფუნქციონირებს ტაძარი, რომლის წინამძღვარიც თქვენ ბრძანდებით?

ეს ტაძარი ააგო პლატონ იოსელიანმა 1852 წელს. გასული საუკუნის 60-ან წლებში კი, როდესაც ტაძრები აღარ ინგრეოდა, იგი ხელისუფალთა მიერ იქნა ხელყოფილი და ამ ადგილას ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ნაგებობა (სახანძრო) აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოლოლაკის მოსახლეობის მცდელობით ამ ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო და ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მთლიანად დასრულდა. ტაძარი იკურთხა 2003 წლის 23 თებერვალს ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსის (ამჟამად მიტროპოლიტის) გერასიმეს მიერ და იმ დღიდან ფუნქციონირებს.

– როგორ ხვდებით ამაღლების დღესასწაულს?

ამ დღესასწაულისთვის მრევლის დახმარებით, განსაკუთრებით კი იოანე (ბახვა) სამხარაძის ოჯახის შეწევნით, მთლიანად მოვხატეთ ტაძარი. დავაწერინეთ ახალი ხატები, ვალამაზებთ ტაძრის ეზოს, ველოდებით სტუმრებს და, რა თქმა უნდა, გვაქვს ამაღლებული განწყობა.

სრულიად საქრისტიანოს და განსაკუთრებით საქართველოს ეკლესიის შვილებს მინდა მივულოცო მაცხოვრის ამაღლების წმინდა დღესასწაული და ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, როგორც ამ ქვეყანაზე, ისე მარადიულ ცხოვრებაში.

თბილისის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის ლიტურგიკის პედაგოგი,
სოლოლაკში მდებარე ამაღლების ტაძრის
დეკანოზი ბიძინა (ბუნია)

ქოლოცვითი ექვზაყრობა

დავით გაძაღუა. “იესო”. 2008

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70